საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 15 თებერვალი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-დან.

№ 38 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ'სა № 38

ღრმად დამწუხრებულნი და გულდაწყვეტილი მეუღლე ემილიანე, შვილი ვალენტინ (ტოტუნა) მამამთილი იეიე, დიდამთილი პელაგია, მაზლები: ერმილე, კოწია და ვენედიქტე. მულები: ქეთო, ბაბილინა და ნინიჩკა, რძლები: პისტი და ოლია, მაზლის შვილები: ლეო (პუპუკა) და გივი, ნათლიდედა ლიდია კალანდაძეები, სიძე ერმილო გიორგ ძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ სამშაბათს 10 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

თამარა არტემის ასული კალანდაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება დაბა ხიდისთავში (გურია) კვირას 15 თებერვალს 12 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაში. (538 2—2)

მშობლები: ეფემია და დეკ. გიორგი ასათიანი, დები: ნინო, თამარ, ქეთევანი, რუსუდანი და ეკატერინე, ძმები: ლავრენტი, გიორგი და ლევან, რძლები: რახილ და ანნა; სიძეები: ჩეკურაშვილი და გრიგორაშვილი, დისწული მათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 თებერვალს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

შუშანიკა ასათიანის

სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 ს. პანაშვიდი 12 ს 539 2—2)

კვირას 15 თებერვალს ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულებისა

დავით ქრისტეფორეს ძე სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, შვილები: გიორგი, შაქრო, სოფიო, ძმები: ალექსი და მიხეილ ქრისტეფორეს ძე ნი სულხანიშვილები და ცოლის და მარიამი დიმიტრის ასული ჩუბინიშვილისა. წირვის დაწყება 9 ნახევარ საათზე. (544—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ლეონტი ლუარსაბის ძე [illegible]იაშვილი და ასული მისი თინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი მეუღლის და მეორე საყვარელი დედის

ოლღა გრიგოლაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზედ ქ. ქუთაისში საკუთარ ბინაზედ ივანოვის ქუჩ. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 15 თებერვალს საფიჩხიის სასაფლაოზედ. (543—2—2)

უბოლო მწუხარებაში მყოფი და ანნა ნადირაძისა, ლიდა და ოლღა ნათიევისა თავის მეუღლით, მამიდა ეკატერინე მაკაშვილისა, ნატალია ჯანიაშვილისა მეუღლით ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ორშაბათს 16 თებერვალს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ნაძალადევის ხვთისმშობლის ეკლესიაში (წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 ს.) ახლად გარდაცვალებულის გვარდიელის

ივანე (ვანიჩკა) სოლომონის ძე ელბაქიძის

სულის მოსახსენებლად. (557 1—1)

შვილები: თამარა, თინა და კოტე, დები: მარიამ და მატრონა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას თებერვლის 15 დილის 12 საათზე გადახდილი იქნება ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე ორმოცი დღის გარდაცვალების პანაშვიდი

ეკატერინე უარაჯანის ასული მაგულაიშვილი-ხუდნივის

სულის მოსახსენებლად (556 1—1)

1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის კოლექტივის წევრი და მასთან საუკეთესო ამხანაგი

გრიშა ხუბაშვილი

დაკრძალვა კვირას 15 თებერვალს, გამოსვენება ხუდადოვის ქ. № 59 საკუთარი სახლიდან დილის 12 საათზე. (555 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკა [illegible] ასული, შვილები: ნინა, პავლე, [illegible], მიხეილ და ილიკო, სიძე ნიკოლოზ ესტატის ძე კაშელარია, შვილის შვილები: ცაცა და ამირანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პავლე ივანეს ძე ძიძიგურის

უდროოდ გარდაცვალებას სოფ. [illegible]ლეში. დაკრძალვა კვირას 15 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზედ ნაძალადევის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პაშა გიორგის ასული, შვილები: საშა, იაშა და ნუციკო ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 15 თებერვალს (ახალ სტილით) გადახდილი იქნება სოფელ კაპანაში მაცხოვრის ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

საბინო იოსეს ძე ცომაიას

სულის მოსახსენებლად. (533—1—1)

ილია არტემის ძე სეფერთელაძე და მეუღლე მისი სარა და შვილები—ალიოშა, ქეთო და თამროკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი დის, მულის და მამიდის

თამარა არტემის ასული კალანდაძის

ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხიდისთავში 15 თებერვალს. (33—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ივანე და დედა ნინო, ძმა ვასილი, და ოლია მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ ჩვენი უსაყვარლესი შვილის მესამე კლასის კულტურ.-ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფის

გრიშა ივანეს ძე ხუბაშვილის

გარდაცვალებას გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან ხუდადოვის ქუჩა ს ხ № 59 კვირას 15 თებ. დილის 10 საათ (550—1—1)

ქვრივი ალ. ია. ნიქაბაძე—მღებროვისა, დედა ელისაბედი წულუკიძისა, ისიდორე ნიქაბაძე მეუღლით დარიათი არდოის ასული შვილებით ივანე და სერგეითი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას 15 თებერვალს ქ. გორში სობორში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

პეტრე ალექსანდრეს ძე მღებროვის

(ქიმიკოსის) სულის მოსახსენებლად (548—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ნათესავნი: გიორგი სახაძე, ელისაბედ არჯევანის ასული და ვასო გიორგის ძე ცაბაშვილები. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს 13 თებერვალს ა. წ. ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი საშუალო კულტურ-ტეხნიკური სასწავლ. მე-3 კლ. მოწაფე

გრიშა ივანეს-ძე ხუბაშვილი

გამოსვენება მოხდება საკუთარ სახლიდან (ნაძალადევი ხუდადოვის ქუჩა № 59) 15 თებერვალს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (558—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა თამარა, მამა სამსონ, დები: გოგუცა და ვიქტორია, ძმა ვიქტორ, [illegible], ბიცოლა ანიკო, ბიძები: ილიონ და ირაკლი ეპრემიძეები—ბიძია ანასტასი, ბიძაშვილები ბაგრატიონი და ონისიფორე არამიშაძეები, მამიდა მატრონა სიამაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს პატარა

მიტროფანეს

უდროოდ დაკარგვას, რომელიც გარდაიცვალა პარასკევს დილით. დაკრძალვა დღეს 2 საათზე ქალაქ ლანჩხუთში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში (553—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ლომინტი, კოლია და ვალენტინ კანდელაკები, ქეთო ბერიშვილი ს და ს ძე პავლე ბერიშვილი გლოვით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასი

ევდოკია კანდელაკისას

დაკრძალვა ქ. ქუთაისში კვირას 15 თებერვალს (552—1—1)

1920 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აარსებს მოკლევადიან (ოთხთვიან)

საბუღალტერო კურსებს

სწავლა კურსებზედ იქნება მოწყობილი საღამოობით სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ეროვნული საბჭოს ქ., 11 ყოფ. ფრეილინის ქუჩ.).

სწავლა ქართულ ენაზე

კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატის საკურსო განყოფილების გამგეს მიხეილ თაქთაქიშვილისაგან ყოველ დღე პალატის ბინაზე, შუადღის 12 საათიდან—2 საათამდე (ეროვნული საბჭოს ქ № 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩ.). (464—1—1)

სამშაბათს 17 თებერვალს, საღ. 5 ს. მუშტაიდის კლუბში დანიშნულია პირველი რაიონული ორგანიზ. წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3) კოლექტივის, 4) თფ. კომიტეტის და 5) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 6) მიმდინარე კითხვები.

წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული ბარათები. (ფუ. 2—1)

ახალი წიგნი

ყარიბისა

ამ დღეებში გამოვა ყარიბის ახალი შრომა „წითელი წიგნი" რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს დაახლოვებით 250 გვერდს გამოცემა ქართველთა მეგობრითი ამხანაგობისა. წიგნის შეძენა მსურველთ უნდა მიმართონ: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში რუსთაველის ქუჩაზე. 2) [illegible] წიგნის მაღაზიაში „ახალ სიტყვაში" და 3) „ქართველთა მეგობრითი ამხანაგობის" სტამბაში, რუსთაველის ქუჩა № 26. (542—2—2).

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან გორის საოსტატო სემინარიის შენობაში მოწყობილი იქნება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად

კურსები

კურსები გაგრძელდება 20 თებერვლიდან 1 ივლისამდე. კურსებზე მიღებულნი იქნებიან არა ნაკლებ 4 კლასის განათლებით კურსანტებს ექნებათ მუქთი ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნები სამაზრო ერობის სახელზე. (6. 3—2)

მეექვსე რაიონული კოლექტივი

საქ. ს. დ. მ. პ კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 საათზე მუსულმანთა აუდიტორიის შენობაში (მოედანი) დანიშნულია მე-6 რაიონის საქ. ს. დ. მ. პ.

წევრთა კრება

დღის წესრიგი: 1 მოხსენება [illegible] ალ. ლომთათიძე. 2) მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის, 4) არჩევნები. (ფუ. 2—2)

არტისტიული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს 18 თებერვალს 1920 წელს

მსახიობთა შეერთებულ ძალებით წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის პიესა

ღალატი

5 მოქმედებად.

ქ.ქ. ნინო ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ო. ლეჟავა, ვ. ანჯაფარიძე, ე. ციმაკურიძე. ბ.ბ. ვ. გუნია, შ. აბაშიძე, შ. გამყრელიძე, მ. ქიაურელი, ამაშუკელი, შანშიაშვილი და სხ.

რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრატორი ა. გაჩეჩილაძე.

დ. საწყისი სრულ 8 საათზე. (6. 2—1)

15 თებერვალს, 1920 წ. ქ. თფილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულ 10 საათზე დაიწყება

საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეთამბაქოეთ, აგრონომებს და მოღვაწეთ, ვისაც დამოკიდებულება აქვს მეთამბაქოეობასთან. ერობები. კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ.

ვთხოვთ ყველას პროვინციიდან წარმოადგინონ მოხსენებები ადგილებიდან. ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდე. თფილისი, გრაფის ქ. № 2 ტელ. 6—43.

(438—6—6) საორგანიზაციო კომიტეტი.

საჭიროა ინჟინერი ან ტეხნიკი

პროვინციაში ქალაქის ინჟინრის ან ტეხნიკის თანამდებობაზე. ტეხნიკისათვის აუცილებელია უფლება ჰქონდეს მუშაობის წარმოებისა. აუცილებელია აგრეთვე იცოდეს საწისქვილო საქმის ელექტრონული დადგმა და საქალაქო მშენებლობა. თხოვნების მიღება და პირადი მოლაპარაკება—საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში, პუშკინის ქ. № 3, დილის 9—3 საათამდე. (6. 3—3)

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა იწვევს სამსახურში

მეღვინე მევენახეობის სპეციალისტებს

რომელსაც ჩაბარდება სოფ. სართიჭალაში ამერიკულ ვაზის სანერგის მოწყობა და ხელმძღვანელობა. საცხოვრებელი ბინა ექნება ს. სართიჭალაში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თფ. მაზ. ერობის აგრონომ. განყოფილებაში. რუსთაველის პრ. № 6. (545—1—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

გამოცდილი მასწავლებელნი

ამზადებენ

მოზრდილთა 3, 4, 5 6, 7 კლასის მოწმობის მისაღებად. მიხეილის პროსპექტი № 25. შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5, 3 ს.—7 საათ. (519 4—3)

კბილის ექიმი აგრაფინა დავითის ასული

აბაზაძე

განაახლა კერძო პრაქტიკა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. სოლ ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე ელისაბ., რეუტ. და ბელგიელის ქუჩ). (467 6—5)

ჩვენ და დენიკინი

საქართველოს დემოკრატია თანდათან ამკვიდრებს თავის ძლიერებას. თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ხანებში მას ნაკლებად უწევდენ ანგარიშს, დღეს სულ სხვაგვარი დამოკიდებულების მოწამენი ვართ: საქართველოს მეტის პატივისცემით ეპყრობიან, როგორც შინით, ისე გარედან.

ამის დამამტკიცებელია ის ცნობა, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა პრესაში: გენერალი დენიკინი ალიარებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „მთავრობის ფაქტიურ არსებობას".

მართალია, მას შემდეგ, რაც პარიზის უმაღლესმა საბჭომ გვცნო, გენერალ დენიკინის განცხადებას თითქოს არ უნდა ჰქონდეს რაიმე აზრი და მნიშვნელობა.

დენიკინის „მოხალისეთა ლაშქარი", „დობროვოლია" ჩვენ თითონ არ მიგვაჩნია სახელმწიფოდ: მას არა აქვს არც ერთი ნიშანდობლივი თვისება, რაც ყოველ სახელმწიფოს უნდა ახასიათებდეს: მას არა აქვს განსაზღვრული ტერიტორია, განსაზღვრული მცხოვრებთა კონტინგენტი; იგი არავის მიერ არ არის უფლება მოსილი და ნდობით აღჭურვილი. იგი მხოლოდ შეიარაღებული ძალაა, სხვა არაფერი; მხოლოდ ეს გარემოება კი მას ვერ გადააქცევს სახელმწიფოდ. ამიტომ დენიკინის მიერ ჩვენი რესპუბლიკის „მთავრობის ცნობას" ჩვენთვის ისეთი მნიშვნელობა ვერ ექნება, როგორც ამ ცნობას რომელიმე სახელმწიფოს მხრით.

მაგრამ ვინც ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკის ვითარებას იცნობს, მისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს ის, რომ გენერალ დენიკინისაგან ჩვენი არსებობის აღიარებას დიდი „მაჩვენებელი" მნიშვნელობა აქვს.

პარიზის საბჭომ აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა არა ჩვენი სიყვარულით, რადგან პოლიტიკაში სიყვარულს და სხვა კარგ გრძნობებს ნაკლებად აქვს ადგილი. „შეთანხმების" სახელმწიფოებს უპირველეს ყოვლისა ამოქმედებდა საკუთარი ინტერესების შეგნება.

იგივე რეალური ინტერესი უდევს სარჩულად დენიკინის მიერ გადადგმულ ნაბიჯსაც. მაგრამ ეს ნაბიჯი განსაკუთრებულ ხასიათისაა, რადგან დენიკინის პირით ლაპარაკობს იმპერიალისტური რუსეთი. რუსეთს სუბიექტიურად დიდი უფლებები აქვს საქართველოზე: სულ რაღაც ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიის შემადგენლობა. ამიტომ ადვილი საქმე როდია გაბატონებულის ფსიხოლოგიის ძირიანად შეცვლა. და თუ ამ ფსიხოლოგიაში გადატეხა მოხდა, თუ გენერალი დენიკინი დღეს თუნდაც ჩვენი „მთავრობის ფაქტიურ არსებობის" და მის დამოუკიდებლობის ცნობას აპირებს, ამის მიზეზია, ბოლშევიკების გამარჯვების გარდა, საქართველოს შედარებითი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე. ეს არ არის ძლიერება იარაღის და მარტოოდენ [illegible] სამხედრო ძალის: რუსეთს, როგორც ვიცით, არც ფული აკლდა და არც ჯარი. მაგრამ ის მაინც სასტიკად დამარცხდა. საქართველოს სიმტკიცე შინაურ ფრონტის ძლიერებაში, დემოკრატიის ერთსულოვნებაში. ამ

დღეს

კუნძული შპიცბერგენის ნორვეგიისთვის გადაცემის გამო საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებს.

ერთა ლიგის საბჭომ შვეიცარია ლიგაში მიიღო.

საფრანგეთიდან გერმანიაში დაბრუნდა 127 ათასი გერმანელი ტყვე.

დეპუტატთა პალატამ დეშანელის მოადგილედ აირჩია რაულ პერე.

ერთსულოვნობას ყველა იძულებულია სათანადო ანგარიში გაუწიოს. ესტონეთის დემოკრატიის ძლიერებამ მოსტეხა საბჭოთა რუსეთის ჯიუტობა და აიძულა ესტონიასთან ზავი შეეკრა.

ჩვენც ამ შინაურ ფრონტის ძლიერებაზე, დემოკრატიის ერთსულოვნებაზე უნდა ვამყარებდეთ ჩვენს მომავალს. ეს გარემოება კარგათ აქვთ შეგნებული ყველა მეზობლებს, მასში დენიკინს და ბოლშევიკებს: ამიტომ არის, რომ ისინი სანამ გამოლაშქრებას შეუდგებოდნენ, პირველათ ყოველთვის ჩვენი შინაური ფრონტის მოშლას შეუდგებოდნენ.

დენიკინის მიერ ჩვენი „ცნობა", რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იყოს მის რეაქციონურ განზრახვებისაგან. ის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა დონის „კრუგის" სხდომაზე, გვიმტკიცებს, რომ დენიკინის მიერ საქართველოს „მთავრობის ფაქტიურ არსებობის" ცნობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის სრულ დამოუკიდებლობის ცნობას. გამოსავალ გზას და ხვრელს საქართველოს საქმეებში ჩასარევად დენიკინი, აშკარაა, ეძებს, თუ მომავალში ისევ სული მოითქვა და გაძლიერდა. მაშასადამე ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა მის მიმართ.

იმერეთის ცხოვრების მხატვარი

(დავით კლდიაშვილი).

ხელოვნება იმდენათ ნაზი და სათუთია, რომ ის ვერავითარ შებორკვას, შევიწროებას ვერ იტანს.

მისი განვითარებისათვის თავისუფლება, თავისუფალი წყობილება განსაკუთრებით არის საჭირო.

ძველი რეჟიმი მარტო იმით კი არ უთხრიდა ძირს ჩვენში ხელოვნების აყვავებას, რომ ის ქ ნებარობის წყობილება იყო და ყოველგვარი თავისუფლების სრული უარყოფა, არამედ იმითაც რომ ის აწარმოებდა გარუსების პოლიტიკას.

ამგვარი პოლიტიკა საშინელი მტერია ეროვნული ხელოვნებისა.

ასეთი რეჟიმისა და მისი პოლიტიკის წყალობით ჩვენში ხელოვნება სრულებით უნდა ჩამქრალიყო.

ნაცვლათ ამისა ის ვითარდებოდა და იზრდებოდა.

რა იყო ამის მიზეზი?

ხელოვნების მსახურთა თავგანწირული მუშაობა.

ერთი მათგანია დავით კლდიაშვილი, რომელიც დღეს დღესასწაულობს 30 წლის მოღვაწეობას სამწერლო ასპარეზზე.

ხელოვნების ნიადაგზე მოღვაწეობა ჩვენში ერთგვარი მსხვერპლი იყო და ის ადამიანი, რომელიც ოცდა ათი წლის განმავლობაში უანგაროთ სწირავდა ამ მსხვერპლს, მადლიერების ღირსია.

დავით კლდიაშვილი მოგვაგონებს საბერძნეთის მითოლოგიის დევ-გმირს ანთეოსს, რომელიც უძლეველი იყო, სანამ ფეხები მიწაზე ედგა.

როგორც კი მოაცილებდა ფეხებს მიწას, მაშინათვე უძლურდებოდა.

მისი უდიდესი ძალ-ღონის მთელი საიდუმლოება თურმე იმაში მდგომარეობდა, რომ ის ამ ძალას მიწიდან იკრებდა.

დავით კლდიაშვილი სიტყვაკაზმული მწერლობის ერთგვარი ანთეოსია: სანამ მას ცხოვრების სინამდვილეზე უდგია ფეხი, ის ძლიერია, ორიგინალური, თავისებური.

როგორც კი მოცილდება სინამდვილეს, სუსტდება.

კლდიაშვილმა ძალიან კარგათ იცის ეს და ამიტომ ცხოვრების სინამდვილეს არა ჰღალატობს.

რეალიზმი—აი რა ახასიათებს დავით კლდიაშვილს. მას იშვიათის ბუნებრიობით ეხერხება ცხოვრების სინამდვილის ცოცხლათ დახატვა. ნამდვილ ცხოვრებას ის შიგ გულში წვდებოდა ყოველი მისი მოთხრობა სარკეა სინამდვილისა.

ეს ხომ ფოტოგრაფია არის და არა ხელოვნება, შეიძლება ვინმემ იფიქროს.

ხელოვნებას და ფოტოგრაფიას შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ ფოტოგრაფია იძლევა მხოლოდ მკვდარ ქანდაკებას, ხელოვნება კი სიცოცხლეს, მოძრაობას.

კლდიაშვილის შემოქმედებაში სინამდვილე მოძრაობს, ცოცხლობს და ამაშია მისი ნიჭის დიდი ღირსება და თავისებურობა.

დავით კლდიაშვილი არის იმერეთის ცხოვრების მხატვარი.

იმერეთის კეკლუც და მხიარულ ბუნებას ის მოგვაგონებს თავისი ხალისიანი იუმორით.

კლდიაშვილის მოთხრობები სავსეა სასაცილო ამბებით, მაგრამ ავტორი არავის არ დასცინის, არ ჰკიცხავს, ის მხოლოდ გადაგვიშლის თვალწინ იმ სასაცილო და ხშირათ კი სატირალ პირობებს, რომელშიაც ცხოვრებას ჩაუყენებია ყველა ეს ქამუშაძეები, სამანიშვილები, ბეგლაძეები და სხ.

კლდიაშვილის მოთხრობების უმთავრეს გმირებს იმერეთის აზნაურობა შეადგენს.

უკეთესი მხატვარი იმერეთის აზნაურობას არ მოეპოვება.

ამ წოდებას კლდიაშვილი ახასიათებს ოთხი სიტყვით: გაქუცული, გახრეკილი, შემოდგომის აზნაურები.

მოსწრებული უტყუარი და თან მწარე დახასიათებაა.

ამ წოდების ზნე-ჩვეულება, მდგომარეობა, ცხოვრება, სულისკვეთება ისე არავინ არ იცის; როგორც კლდიაშვილმა.

ამ დარგში ის ერთად ერთი მწერალია ჩვენში; ყოველი მისი სიტყვა დამახასიათებელია.

კლდიაშვილი იმერეთის აზნაურობის თავისებური სერვანტესია. კლდიაშვილს კი არა ძულს ეს აზნაურობა, ებრალება, ებრალება ის; ებრალება იმიტომ, რომ ეს ქამუშაძეები, მორბელაძეები და სამანიშვილები მეტათ საბრალონი არიან თავისი კუდაბზიკობით.

კლდიაშვილი გადაგვიშლის თვალწინ საუცხოვო სურათებს ცხოვრებისას და დაგვანახვებს შემდეგს:

აზნაურობა თანდათან ჰკარგავს თავის წოდებრივ სახეს და ის გლეხობას უთანასწორდება. გლეხობაში წარმოებს ერთგვარი დუღილი და გლეხი სამადაძე ამაყათ ეუბნება თავის შეურაცხყოფილ აზნაურს: თუ ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნაურს კიდევ ვჯობივარო.

— ნუ თუ ხსნა არსით არის? ჰკითხულობს ერთი მოაზროვნე პირი ქამუშაძის გაჭირვებაში და პასუხი ერთად ერთია: აზნაურული კუდაბზიკობის უარყოფა, გლეხობაში გარევა და მოქალაქეობრივი ცხოვრების უღელში შებმა. აი ამ გზას დაადგება ოტია ქამუშაძე.

ეს გზა არის გზა დემოკრატიული წყობილებისა.

დიდ სამხატვრო ღირსებასთან ერთად კლდიაშვილის მოთხრობებსა აქვთ ამავე დროს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც.

კლდიაშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე იმ ხანებში, როდესაც ჩვენში მესამე დასი ბრძოლით იკაფავდა გზას ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში.

კლდიაშვილის მოთხრობები ნამდვილი ცხოვრებიდან ამოღებული საუცხოვო სურათები იყვნენ და ამავე დროს ადასტურებენ სწორეთ იმას, რასაც მესამე დასის მწერლები ქადაგობდენ ჩვენი ცხოვრების განვითარების შესახებ.

წოდებათა გაუქმება, დემოკრატიული წყობილება და სოციალიზმი,—აი ერთათ-ერთი გზა ქართველ ერის განვითარებისა, სხვა გზა არ არსებობსო,—აი რა აზრი იყო გატარებული მესამე დასის პუბლიცისტიკაში.

ცხოვრების განვითარება ანადგურებს წოდებრივ ურთიერთობას და კარს უღებს მოქალაქეობრივს დემოკრატიულს,—სხვა გზა არ არსებობსო,—რა დასკვნა გამოდიოდა კლდიაშვილის შემოქმედებიდან.

ცხოვრებამ კლდიაშვილი გაამართლა; მან გაიმარჯვა, როგორც მხატვარმა და ხელოვანმა.

კლდიაშვილი მარტო ბელეტრისტი არ არის, ის დრამატურგიცაა. მის კალამს ეკუთვნის სამი პიესა.

აქაც კლდიაშვილი ძლიერია იმდენათ, რამდენათაც შიგ გადაშლილია ცხოვრების სინამდვილე.

მარტივი შინაარსი, ჩვეულებრივი ადამიანები და ნამდვილი ცხოვრება,—აი რა ახასიათებს კლდიაშვილის პიესებს.

ჩვენს სიტყვა კაზმულ მწერლობას სრულებით ახალი ხანა დაუდგა.

თვითმპყრობელობის ბორკილები მარტო ერის ბორკილები კი არ იყო, არამედ მწერლობისაც.

თუ ასეთს პირობებში კლდიაშვილის ნიჭმა შეიძლო გადურჩენა და გაბრწყინება, თავისუფალ საქართველოში მისი ნიჭი კიდევ მეტ ნაყოფს გამოიღებს.

კლდიაშვილი თავისი შემოქმედების მიმართულებით დემოკრატი არის და დემოკრატიის გაბატონების ხანაში ის კიდევ მეტ საუცხოვო სურათებს შეგვიქმნის ჩვენს სიტყვა კაზმულ ხელოვნებას.

წრფელის გულით ვულოცავთ სინამდვილის დიდ მხატვარს დღევანდელ დღეს და ვუსურვებთ: დემოკრატიულ საქართველოშიაც ნაყოფიერი ყოფილიყოს მისი შემოქმედება.

ჰინდენბურგიადა

ამ ორიოდე თვის წინეთ გერმანელმა მონარქისტ-პოლკოვნიკმა ბაუერმა ამერიკის გაზეთების საშუალებით ამცნო კაცობრიობას, რომ ჰინდენბურგის კანდიდატურა გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე უზრუნველყოფილია, რაც ფაქტიურად გერმანიაში მონარქიის აღდგენას ნიშნავს. ამ აზრს ხშირად იმეორებენ გაზეთები უკანასკნელ ხანებში. რაზე ამყარებენ თავის იმედებს გერმანიის მონარქისტები?

როგორც იცით 9 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მონარქისტებმა საკმაო ჯარით მოიკალათეს ბალტიის პროვინციებში. მათი მისწრაფება იყო—რუს მონარქისტებთან ერთად ბოლშევიკების დამარცხება და რუსეთში მონარქიის აღდგენა, რაც, თავისთავად ცხადია, გააძლიერებდა მონარქისტულ მოძრაობას გერმანიაში და რუსეთის ჯარების საშუალებით გერმანიაში ჰოჰენცოლერნების ტახტის აღდგენას შეუდგებოდა. ეს გეგმა ჩაიშალა. რუსეთში დენიკინ-კოლჩაკ-იუდენიჩის ჯარები დღითი დღე მარცხდება, ისე რომ ძველ რუსეთის აღდგენაზე ოცნება ახლო მომავალში მაინც ზედმეტი იყო. დავუმატოთ ისიც, რომ გერმანიის ჯარების ბალტიის პროვინციებში ყოფნა „ანტანტას" ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამ უკანასკნელებმა გადაჭრით მოითხოვეს ამ ჯარების ბალტიის მხარეებიდან გაყვანა. გერმანიის ჯარები რკინის დივიზიის მეთაურობით დაიძრა კურლიანდიიდან და დღეს თავს იყრის მემელის მიდამოებში. როგორც ერთი გაზეთი არწმუნებს, ეს ჯარები გამაგრდებიან იმ პროვინციებში, სადაც იუნკრების ბატონობა დღესაც გრძელდება, რომ მან პირველ ხელსაყრელ შემთხვევაშივე მონარქისტების მეთაურობით ბერლინისკენ გასწიოს. ხელსაყრელ შემთხვევას კი მონარქისტები დარწმუნებით მოელიან. საქმე იმაშია, რომ რევოლუციის პირველ დღეებში მსხვილი ბურჟუაზია იმდენად დაიბნა, რომ მთელი ძალაუფლების მუშათა ხელში გადასვლას შესამჩნევ წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა, მაგრამ შეიდემანის—რომელსაც მაშინ მუშათა უმრავლესობა მხარს უჭერდა—ორჭოფ პოლიტიკის წყალობით, მსხვილ ბურჟუაზიას საშუალება მიეცა ხელახლათ შეკავშირებულიყო და დაკარგული პოზიციები ისევ ხელთ ეგდო, გარდა ამისა თავისკენ მიიზიდა დიდი ნაწილი იმ ელემენტებისა, რომელნიც წინეთ მუშათა პარტიას მისდევდა. დაუმატოთ ისიც, რომ გამწვავებული ბრძოლა, რომელსაც სწარმოებს შეიდემანის მიმდევართა, დამოუკიდებელთა და სპარტაკელთა შორის გერმანიის დემოკრატიის ფრონტს შლის და აძლიერებს მონარქისტულ მოძრაობას. მონარქისტები უმთავრესად სწორეთ ამ ფრონტის დაშლაზე ამყარებენ თავის იმედებს. მონარქისტების გაძლიერებას და მაშასადამე ჰინდენბურგის პრეზიდენტობაზე ოცნებას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა სოციალისტური ფრონტი გაერთიანდება. ამ ფრონტის გაერთიანებას სათავეში უნდა ჩაუდგეს თვით გერმანიის მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გერმანია გადაურჩეს ჰინდენბურგიადას.

ი. ხალაყაია.

პრესა

ბაქოს გაზეთი „ისკრა" ეხება რა დენიკინის მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავრობების ფაქტიურათ ცნობას, სწერს:

„დენიკინმა იცნო აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს დამოუკიდებლობა. რას ნიშნავს ეს? ეს ცნობა—არის—საჯაროთ აღიარება დენიკინის მიერ თავის გაკოტრებისა.

დენიკინმა მიზნად დაისახა რა მონარქიული რუსეთის აღდგენა 1914 წლის საზღვრებში, ახლა ხელი აიღო ამ განზრახვაზე.

დენიკინმა გამოაცხადა თავისი გაკოტრება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებით, ამით მან დაამტკიცა თავისი „სახელოვანი" არმიის დამარცხება, და დაგვანახა, თუ როგორ დაემსხვრა მას ოცნებები თვითმპყრობელი „მთლიანი რუსეთის" აღდგენის შესახებ".

დამფუძნებელი კრება

13 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა წინეთ მიღებულ კანონპროექტთა და დეკრეტთა საბოლოო ტექსტები.

შემდეგ ნ. ამბაიშვილის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტებისა 1) შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო მინდობილობის ინჟინრის თანამდებობის დაარსების შესახებ და 2) საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის შესახებ.

დეკრეტი მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის ჯამაგირების ახალი ნორმებისა.

ი. ხალაყაია მოახსენებს კრებას დეკრეტის პროექტს მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის ჯამაგირის ახალ ნორმების შესახებ.

ამ დეკრეტის წინააღმდეგ გამოდის ლ. შენგელაია, რომელიც ილაშქრებს საერთოდ მიწათმოქმედების სამინისტროს მოქმედების წინააღმდეგ და ამბობს: მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, ისე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულებით ვერ გაამართლა. ის იმედები, რომელიც მასზე იყო დამყარებული, უმთავრესი საქმე მიწათმოქმედების სამინისტროს იყო აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში ამ რეფორმის გასატარებლათ შედარებით კარგი პირობები იყო, არც ერთი მოვლენა საზოგადოებრივი და არც სხვა ხასიათის სამინისტროს ამაში ხელს არ უშლიდა, მან (სამინისტრომ) ვერ შესძლო ვერც ერთი ნაწილის სავსებით ცხოვრებაში გატარება. ჯერ კიდევ ჩამორთმევა არ არის მოხდენილი დუშეთის, ახალციხის, ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში და ზოგიერთ სხვა კუთხეებში. მე ამას ლიტონ სიტყვებით კი არ მოგახსენებთ, ეს არის აზრი მიწის მზომელთა, რომელთა ყრილობა აქ მოხდა. როგორ უნდა მივცეთ გადიდებული ჯამაგირი ისეთ სამინისტროს, რომელმაც ვერ მოაწყო ტყის ექსპლოატაციის საქმე, ჩვენ 2 მილ. დეს. ტყე გვაქვს და მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში ეს დიდი სიმდიდრე ზარალს იძლევა. აი ციფრები. ამ ტყის შემოსავალი უდრის მხოლოდ 2 მილ. მანეთს, მაშინ, როდესაც გასავალი 24 მილ. მანეთია. არ არის რიგიანად დაყენებული სახელმწიფო მამულების მოვლა პატრონობა და ექსპლოატაცია. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მამულების გამგეთა ყრილობის ოქმები. ორატორი კითხულობს ზოგიერთ ადგილებს ამ ოქმებიდან, საიდანაც სჩანს, რომ გასავალი ძლიერ ცოტა ყოფილა და სხ. აი მაგ. გვერაძის მამულის მდგომარეობა: მეტად დურგიული სადგური არ მუშაობს," მოსავალი ცოტა იყო და სხ. აი როგორ მდგომარეობაშია სახელმწიფო მამულები. ავიღოთ ახლა კოჯორის მამული. ის, როგორც მოგეხსენებათ, მიწათმოქმედების სამინისტრომ 30 ათას მანეთად გასცა ერთი წლით, 200 ოთახიანი აგარაკის 30 ათას მანეთად შეუჯიბრებლათ გადაცემა განა სახელმწიფოებრივი ინტერესის დაცვაა? აი ყველა ამ მოსაზრებით გამო ჩვენ არ შეგვიძლია ამ სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის ჯამაგირის ახალი ნორმის დამტკიცება.

მიწათ-მოქმედების მინისტრის პასუხი.

ნ. ხომერიკი ბატონებო, დღეს აქ, თქვენს წინაშე წამოყენებულია ფრიად მარტივი საკითხი. უწყება ითხოვს, რომ მის მოსამსახურეებზე და მოხელეებზე გავრცელებული იყოს ის მომატება ჯამაგირებისა, რაც სხვა უწყებებში უკვე გატარდა დამფუძნებელი კრების დასტურით (შ. ნუცუბიძე—ყველგან არ გატარებულა) შეიძლება თქვენ ამ უწყებას უარყოფით უყურებდეთ, ეს თქვენი საქმეა, მაგრამ არ შეგიძლიათ ამის გულისათვის დასაჯოთ ის მუშაკნი, რომელნიც ამ უწყებაში მუშაობენ. ეს სხვა საკითხია და ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ მიეცეს ის ჯამაგირი, რაც სხვა უწყებებში გატარდა. ამ მხრით შეიძლებოდა ლაპარაკი საკითხი სრულიად გარკვეულია, მაგრამ შეიძლება მაშინ, როცა ბიუჯეტის განხილვა იქნება, რაც ჩვეულებრივ მიღებული არის, მაშინ გადათვალიერებენ უწყების მოქმედებას, მაგრამ შენგელაიამ ასე არ იქნება და მე იძულებული ვარ ზოგიერთ დებულებებზე პასუხი გავსცე. წინდაწინ უნდა მოგახსენოთ, რომ შენგელაიას ლაპარაკი აქ იყო საუბარი საქმის უცოდინარი კაცისა. ის გვისაყვედურებს, რატომ აქამდე აგრარული რეფორმა არ გატარდაო. ალბათ მას წარმოდგენა არა აქვს ამ რეფორმის ხასიათზე: როგორ შეიძლება რეფორმის გატარება, რა არის ამისათვის საჭირო, რა ძალები, რა ობიექტიური პირობები, რომლებშიაც შეიძლება აგრარული რეფორმის გატარება. ასე რომ დაესვა კითხვა, მაშინ მიხვდებოდა, რომ, მართალია, ჩვენ ორი წელიწადია ვატარებთ ამ რეფორმას, მაგრამ ფაქტიურათ მუშაობა შევუდექით მხოლოდ 11 თვეა. ვინც იცის რა არის მიწის ჩამორთმევა და ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა, მან იცის, რომ თუ როგორი ამინდია საჭირო მიწის დაზომვისათვის, რომ ამ საქმისათვის არსებობს განსაზღვრული დრო, სეზონი, როცა ეს შეიძლება მოხდეს. როცა დარი არის, მაშინ შეიძლება მინდორზე მუშაობა, ავდარში კი ეს შეუძლებელია. ეს რომ ეკითხა ბ-ნ შენგელაიას უბრალო მიწის მზომლისათვის, ის ამას აუხსნიდა. ჩვენ ასეთი დრო გვქონდა მხოლოდ 11 თვე და ამ ხნის განმავლობაში შევძელით თითქმის ყველგან, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩამორთმევა დასრულებულია. სტატისტიკური ცნობებით, რომელიც ჩვენს ხელთ არის, გამოდის ამნაირათ, (აქ არ არის ჩანაწერებული სოხუმის ოლქის და ზოგიერთი კუთხეების ჩამორთმეული მიწები), ჩამორთმეული ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო ფონდში 610 ათასი დესეტინა მიწა. და ჩამორთმევა ფაქტიურათ, თუ სოხუმის ოლქს არ მივიღებთ მხედველობაში, თითქმის დასრულებულია, შეიძლება ზოგიერთ მაზრებში რამოდენიმე ათასი დესეტინა იყოს დარჩენილი, მაგრამ უმეტესი ნაწილი, როგორც მოგეხსენებათ, ჩამორთმეული არის. ეს ერთი. გარდა ამისა ჩვენ დავალებული გვქონდა მეორე ნაწილი ამ მუშაობისა—დარიგება მამულისა უმიწ-წყლო და მცირე მიწიან გლეხობისათვის, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარი მუშაობა, საჭირო იყო გამორკვევა მიწის რაოდენობისა იმ უმიწაწყლოების და მცირე მიწის პატრონთა, რომელთა ხელში საფონდო მიწა უნდა გადასულიყო. კითხვა რომ ასე ყოფილიყო დასმული, რომ მიწა გადაეცემოდა მას, ვისაც ეს ესაჭიროება და ვინც მას ხელს მოკიდებდა, ეს რამოდენიმე თვის განმავლობაში გაკეთდებოდა, მაგრამ კანონის მიერ დასახული გზა აქვს ისეთი მიზანი, რომელიც თხოულობს დიდ წინასწარ მუშაობას. სანამდე მიწას გავანაწილებდეთ, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ვინ არის უმიწაწყლო, მცირე მამულიანი და მხოლოდ მათთვის გადავცეთ ეს მიწა. ეს დიდი სამუშაო არის. გარდა ამისა დარიგებას უნდა უსწრებდეს წინ ფონდის მიღება. თუ არ იცით რა გაქვთ დასარიგებელი, მაშინ ვერაფერს დაარიგებთ. მე მოგახსენებთ, თუ რა 3 რაიონში ხდება ჩამორთმევის პროცესი ზოგიერთ მაზრებში, თელავის და ქუთაისის მაზრებში. თელავის მაზრაში ფაქტიურათ გადაეცა 23 ათას დესეტინაზე მეტი. სწორედ იმ მაღალს, რომელსაც კანონის ძალით ეკუთვნოდა მიეცემა. ქუთაისის მაზრაში კი დარიგებულია 16 ათასი ქცევა. დანარჩენ ადგილებში ნაწილობრივ დაწყებულია მიწის დარიგება. აი შორაპნის მაზრაშიც მოხდა მიწების გადაცემა და უწყება ღებულობს ზომებს თავის მხრივ, რომ ეს მუშაობა დაამთავროს. ახლა შეიძლება მხოლოდ წინასწარი მზადება და როცა შეიძლება მინდორში გასვლა სამუშაოთ, უწყება მომზადებული არის, რომ დანიშნული ტემპით აწარმოვოს ეს მუშაობა და მე დარწმუნებული ვარ, რომ [illegible] ამ დარგის მომდინარე წლის განმავლობაში დავასრულებთ. ეს არის ფაქტიური მხარე, ხოლო შენგელაიას კი გონია, რომ საჭიროა დეკრეტით გამოეცხადებინა მიწის გადაცემაზე და მიწა ხალხს გადაეცემა. ასე დეკრეტებს სცემდენ ბოლშევიკები გლეხობის დასამშვიდებლად, მაგრამ ჩვენ ვიცით, რა შედეგებსაც მიაღწიეს თავის ქვეყანაში. იმათი აგრარული საკითხი სულ ისევ არ გადაწყვეტილა, მხოლოდ შემდეგ ცხოვრებაში დიდი არეულ-დარევა და ნიადაგი მოამზადეს ანარქიის და შეიძლება რესტავრაციისაც მომზადება. ასეთია აგრარული რეფორმის გატარების საქმე.

ასეთივე ცოდნა საქმისა გამოიჩინა ბ. შენგელაიამ მაშინ, როცა ის შეეხო სატყეო მეურნეობას და გვისაყვედურა, რომ ხარჯები უფრო მეტი გაქვთ, ვინემ შემოსავალი. მაგრამ ამის თქმა შეიძლება მხოლოდ მას, ვინც საქმეს გაუცნობელია. ბ-ნი შენგელაია ანგარიშს არ გაუწევს იმას, თუ როგორი იყო სატყეო მეურნეობა წინეთ, საიდამდე ჩვენ გადმოგვეცემოდა. მე მოგახსენებთ, რომ მაგ. ქუთაისის გუბერნიის სატყეო მეურნეობა სახელმწიფოს ზარალს აძლევდა ნორმალურ დროშიაც კი, მხოლოდ თფილისის გუბერნიის ზოგიერთ რაიონებში აძლევდა ისეთ მცირე შემოსავალს, რომ ამაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. და ამ საქმის გამოსწორება, სატყეო მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება არ არის ერთი თვის საქმე, ამისათვის დიდი მუშაობა არის საჭირო. საჭირო არის მთელი რიგი ისეთი ღონისძიების გატარება, ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთაც [illegible] ფაქტიური მთავრობის და სახელმწიფო [illegible] შეუძლია. ჩვენი ტყეები უმთავრესად გაჩეხილი არის მთებში, [illegible] ლებში და თუ გინდათ, რომ ამ ტყიდან სახელმწიფომ შემოსავალი მიიღოს, უნდა გავიყვანოთ გზები და რომ გავიყვანოთ რკინის გზები, გაუჯანსაღოთ ტყის ექსპლოატაცია, გვაქვს ამის საშუალება? აი მოგახსენებთ რა არის და რას გაკეთება შეიძლება. თქვენ ბრძანებთ [illegible] და მე კი მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო საქმის ფაქტიურ მდგომარეობას. გამოსაძებნელი და [illegible] ჩვენით ის ღონისძიებები, [illegible] ბიდან მილიარდები გამოვიდოდნენ [illegible] ვის. ვამბობ, საჭიროა მილიარდების დახარჯვა, ეს ტყეები დიდი სიმდიდრე არის, მაგრამ მომავალში და არა დღეს. მხოლოდ უცოდინარმა კაცმა შეიძლება სთქვას, რომ 2 მილიონი დესეტინა სიმდიდრე ტყე გვაქვს და რატომ შემოსავალს არ გვაძლევსო. იმიტომ არ გვაძლევს, რომ არ არის გზები და სხვ. რაც საჭიროა ტყის ექსპლოატაციისათვის. საერთოდ უწყება ყოველგვარ საშუალებას ღებულობს, რომ შემოსავალი გადიდდეს და თუ შევადარებთ წარსულ წლების შემოსავალს, დავინახავთ, რომ შემოსავალი თანდათან მატულობს. (შენგელაია: კურსი?) კურსიც რომ მივიღოთ მხედველობაში, მაინც დავინახავთ, რომ დღეს მეტი შემოსავალი გვაქვს, ვინემ წინათ. მე არ ვიცოდი, რომ აქ ყველაფერს შეედრებოდით, თორემ მოვიტანდი ციფრებს. რაზე არის დამყარებული შენგელაიას განცხადება? არ არის მართალი ის ცნობა, თითქოს ჩვენ გვქონდა შემოსავალი 9 მილ. მან, გასავალი კი 24 მილიონი მან. ეს მართალი არ არის. მართალია, მე ამ ციფრებს არ მომიტანია, მაგრამ თუ გადახედავთ დამფუძნებელი კრების დადგენილებებს, რომლითაც ყოველ უწყებას ეძლევა 1 მილიარდი [illegible] ტისა, დაინახავთ, რომ ასეთი დიდი თანხა არ არის დახარჯული და არც შეიძლებოდა დახარჯულიყო. ეს მისი ცნობა გაუგებრობაზე არის დამყარებული.

ახლა მამულების შესახებ. ისეთივე სურათი დახატა მამულების შესახებ ბ. შენგელაიამ. ის დაეყრდნო ახლო წარსულში მომხდარ ყრილობის ოქმებს და სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვეულებრივი მოხელე ცდილობს თავის სამუშაოს [illegible] და [illegible] სინამდვილეში. [illegible] მე უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ტრადიცია მე არ მაქვს დამყარებული უწყებაში, რომ ისეთი ცნობები მომცენ, რაც არ არის, და ყველა ამაზე საქმის ნამდვილ ვითარებას, თუ რამე ნაკლი და გასასწორებელია, მე დაინტერესებული ვარ თვითონ გავასწორო და არ მიმაჩნია საჭიროდ [illegible] ნაკლი. და ის სურათი, რომელიც ყრილობის მონაწილეებმა დახატეს, ნამდვილი იყო. რას ამბობს ეს სურათი?

ბ. შენგელაიამ რომ გარკვეულად დაბოლოებამდე წაეკითხა ის ოქმები, დაინახავდა შემდეგს: იყო ცუდი მდგომარეობა, იყო საქმე ცუდათ დაყენებული, მაგრამ უწყება და მამულის მმართველობა ყველა მამულებში ცდილობს, რომ საქმე გაეუმჯობესებინა და ეს [illegible] მაგრამ ბ. შენგელაიამ მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამოგლიჯა და ისე მოიტანა, როგორც ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც [illegible] ამოღებული „მამით ჩვენობის" [illegible] ადგილები და [illegible], რომ ეს ასე არ იქნება ბ-ნ შენგელაია, მაშინ ის დაინახავდა, რომ ეს მამულები დღეს უკეთესად დამუშავებულია, ვინემ რევოლუციამდის [illegible] დღეში იყო. მე ვამბობ, რომ საქმის ინტერესი არ მოითხოვს იმას, რომ [illegible] თავის ხინაობს.

მართალია, გვერაძის მამულის გამგის ჩივილი [illegible] არის, რომ შენობები [illegible] ტირებული არის, [illegible] მაგრამ რატომ არ კითხა თავის თავს ბ. შენგელაიამ, როდის მოხდა ეს? რომ ის კითხვა დაეყენებინა თავისთვის, მაშინ [illegible] და სხვა მოხდა მაშინ, როცა ამ მამულის პატრონი ჩვენც არც კი ვიყავით, როცა ის [illegible] ბანდებმა დაარბიეს, შენობები [illegible] და ახლა, როცა სამინისტრომ მიიღო ეს მამული, [illegible] შენობები შეკეთდა და სხვ. [illegible] შენგელაია მოიქცა ისე, როგორც წინეთ. ([illegible] კოჯორის მამული?) [illegible] მამული თუ წინეთ ზარალს იძლეოდა, დღეს მილიონებს აძლევს ხაზინას. ამით არ მინდა ვსთქვა, რომ [illegible] მამული რომ ნაკლი არ ჰქონდეს, მაგრამ ([illegible] მე კოჯორის მამულზე გეკითხებით) მოითმინეთ და ამაზე მიიღებთ პასუხს. აი კოჯორის მამული ჩვენ გადავეცით 30 ათას მანეთად ერთი წლის ვადით, ბრძანებს შენგელაია. და ამას ისე ლაპარაკობს, რომ [illegible] 30 ათას მანეთს (შენგელაია 200 ოთახიანი) მაგრამ შენგელაიას უნდა მოეხსენებოდეს, რომ კოჯორი მხოლოდ [illegible] დანარჩენ დროს კი [illegible] 30 ათასი მანეთი ჰქონდა გადაცემული.

წინეთ ჩვენ ვცდილობდით, როდესაც ეს აგარაკი ჩავიბარეთ, მოგვეწყო საცდელი მეურნეობა, მაგრამ ზარალი ვნახეთ 45 ათასი მანეთი. და ამის შემდეგ გავცეით 30 ათას მანეთად. ეს არის წმინდა სარგებლობა ხაზინისათვის. თუ პირობებს გადახედავთ, დაინახავთ, რომ მოიჯარადრეს აწევს მთელი რიგი მოვალეობისა, რომელიც დიდ ხარჯებს მოითხოვს: შეკეთება შენობებისა, მოვლა პატრონობა და სხვა. და თუ ხარჯთ-აღრიცხვას წაიკითხავთ, რომელიც სამინისტროს ქონდა წარმოდგენილი, დაინახავთ, რომ ზარალს კი არა. წმინდა შემოსავალს დიდს ვღებულობთ, ეს იყო გაცემული წინეთ, ეხლა კი რომ გავცეთ, იქნება არა 30 ათასი მანეთი, რამდენ რამოდენიმეჯერ 30 ათასი მან., რადგანაც ჩვენი ფულის კურსი მას შემდეგ დაეცა. (კიდეი: აუქციონი მართლა არ ყოფილა?) არ ყოფილა. უწყებას აქვს უფლება გასცეს აუქციონის გარეშე ზოგიერთი ასეთი შემოსავლის წყარო. (შენგელაია: რა კანონში სწერია?) ეს იმ კანონში სწერია, რომელიც დამფ. კრებას ჯერ არ გაუქმებია და რომელიც დამფ. კრებამ აღიარა თავისთვის სავალდებულოთ. და როცა გაუქმდება და დადგენილი იქნება, რომ ყველა შემოსავალი წყარო იჯარით იქნეს გაცემული, მაშინ ჩვენც ასე მოვიქცევით. როგორსაც ეს უფლება გვაქვს, და არსებითად ხაზინისთვის ზარალი არ მოგვიტანია, და პირ იქით შეგვძლიან ამით სარგებლობა მოვუტანოთ, ჩვენ მხოლოთ არსებითად ვლაპარაკობთ და არა ფორმალურ მხარეზე. ბ. შენგელაიამ სთქვა — მამულებში მოსავალი ისეთი არ იყო, როგორსაც მოელოდნენ. მას დაავიწყდა როგორი დარები იყო წელს, როგორი იმოქმედა ამ მიზეზმა ამ მოსავალზე (შენგელაია ობიექტიური პირობები?) დიახ, ობიექტიური პირობები! თქვენ რომ მთავრობაში ყოფილიყავით, წვიმას ვერ დაუშლიდით, როცა ის მოდიოდა და ვერ მოიყვანდით, როცა საჭირო იყო. ობიექტიური, ბუნებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ცოტა მოსავალი მოვიდა, თუმცა ჩვენ გაცილებით მეტს მოველოდით და როგორ შეგვიძლიანთ ეს დანაშაულათ ჩაგვითვალოთ თუ დაგვიმტკიცებთ იმას, რომ უწყებას ჰქონდა საშუალება მეტი მოეყვანა. მაშინ მართალი იქნებოდით, მაგრამ უსამართლობა იქნება მოსთხოვოთ უწყებას ის, რაც მისგან არ არის დამოკიდებული ეს უსამართლობა არის.

ის ყოფილი საუფლისწულო მამულები, სადაც უმთავრესად მევენახეობა იყო, ეს მოძველებული არის, რომ სწორედ იმ ყრილობა, რომელიც მე მოვიწვიე საერთო მუშაობის გასათვალისწინებლათ და ახალი ღონისძიების მისაღებათ, ერთხმად დაადგა იმ აზრს, რომ ვენახები ყველა მოძველებულია და არ შეიძლება ამ ვენახებზე მევენახეობა ვაწარმოვოთ და უნდა შევუდგეთ ამ ვენახების განახლებას. ამით აიხსნება ის, რომ შემოსავალი ისეთი არ არის, როგორც ეს უნდა იყოს ეს ძველი ვენახები არის, და თუ გაიგებთ რამ შენგელაიას მევენახეობისა, ვენახებს 30 წლის შემდეგ ჰკრიან და ამის შემდეგ თქვენ მოითხოვთ, რატომ 80 ვედრო ღვინო მოვცეთ და არა 300—400 ვედრო, ეს დაუშვებელია. ჩვენის მხრით უნდა განვაცხადო, რომ ყველა მამულები დამუშავებული იყო და არც ერთი ვენახი არ დარჩენილა დაუმუშავებელი. ყველა თავის დროზე დამხრილი, დაბარული და სხვა, რაც ამ მხრივ საჭირო არის, გაკეთებული იყო. ასეთია ჩვენი მუშაობა რასაკვირველია, არის ნაკლი, არის ბევრი ხელშემშლელი პირობები, არ ვამბობთ იმას, რომ ყველა რაც გვეკეთებინა სულ დროზე გავაკეთეთ, მხოლოდ იმას ვჩივი, რომ შეიძლებოდა უწყებას, მით უფრო იმ უწყებას, რომლის ხელში არის მრავალი სამეურნეო საქმის წარმოება, გაეკეთებინა დღევანდელ ობიექტიურ პირობებში, რომელიც შენგელაიას სასაცილოდ მიაჩნია, ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო. და თუ გინდა ის მეტეოროლოგიური სადგური კი არ დანგრეულა, არამედ ინსტრუმენტები არა გვაქვს (შენგელაია: გაიტაცეს?) არა. არავის გაუტაცნია, ინსტრუმენტი ცვდება, განახლებას საჭიროებს და ამის საშუალება კი არ გვქონდა. ამით აიხსნება ის, რომ მამულის გამგე ლაპარაკობდა, რომ მეტეოროლოგიური სადგური არ მუშაობს. ვერ გავმართეთ აგრეთვე ელექტრონები ზოგიერთ ადგილას, რადგანაც ელექტრონებს ჩვენში არ აკეთებენ, უცხოეთიდან მოდის, ამის შეძენის და მოტანის საშუალება ჩვენ არ გვქონდა. ბ. შენგელაიამ თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ არის ორი უწყება, რომელსაც საქმე აურევ-დაურევია, არაფერი გაუკეთებიათ და სხვ. მე ვიტყვი, რომ დამფუძნებელ კრებაში არის ერთი ფრაქცია, რომელიც ყოველთვის, რაზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი, მიწვდება სწორეთ ამ უწყებებს, რომელიც მის განზრახვებს ფრთებს კვეცს და მის იდეალებს, შეხედულებას არ ამართლებს, მე მესმის შენგელაიას გულისწყრომა. ის ექსპერიმენტები, რომლითაც მათი ამხ. რუსეთში ვერაფერი მიიღეს და მათ აქ ამის (ექსპერიმენტების) განმეორების საშუალებას არ მივსცემთ და თავის თავად ცხადია, გასაგებია, ამ ერთი მოქცევა ამ უწყებისადმი, მაგრამ ვისაც უნდა საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა და არ უნდა მთელი საქმის დაწვრილმანება, ვინც დაინტერესებული არის სახელმწიფოს ინტერესებით და არა ვიწრო ჯგუფურ ინტერესებით, არ იტყვის იმას, რაც აქ სთქვა ბ. შენგელაიამ.

(დასასრული იქნება).

დავით კლდიაშვილს

(თეთრი ნოტათი)

ლანდებს სახე მზიანს
მარად ეთაყვანება
საქართველო.
თქვენი მობრძანება
მეტად ლამაზია
საყვარელო.

ქვირფას სახელებით
ვიცი აინთება
ჩვენი მზე.
და მრავალს დასწვავს
თქვენი სიყვარული
ერის ნადიმზე.

მოხუცო მამა!
მიიძღვენ პოეტის სიმღიდრე:
გრძნობის ვარდები
დანამული სიყვარულის
თეთრი ცრემლებით.

ხარიტონ ვარდოშვილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 თებერვალი

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 13 თებერვალი. „პრავდის" მოწინავე სწერს: სულ რამდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ რაც შრომის არმიის ორგანიზაციის შესახებ აზრი დაიბადა. მოდის პირველი ცნობები, საიდანაც შეიძლება გავიგოთ, თუ როგორ მუშაობენ ისინი. იუწყებიან, რომ ორი დღის განმავლობაში 7—8 თებერვალს შეაკეთეს 36 ორთქლმავალი და 105 ვაგონი. ეს პირველი შედეგი ბრწყინვალეთ უნდა ჩაითვალოს. მოსკოვში მუშებმა თვე ნახევარში შეაკეთეს 20 ორთქლმავალი და 678 ვაგონი.

მოსკოვი. 13 თებ. უპარტიოთა კონფერენციაზე ლენინმა წითელ არმიის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: „წითელმა ჯარმა თავისი გამარჯვებით გამაგრა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა და ანტანტის იმპერიალისტებზე პირველი გამარჯვება მოგვანიჭა. ამის მიუხედავად ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლ ჯარისკაცთა ჩვენ მხარეზე გადმობირებით. აგიტაცია და პროპაგანდის საშუალებით ანტანტას საკუთარი ჯარი წაერთვათ. ჩვენ არა თუ მარტო სიტყვით, საქმით დავამტკიცეთ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა ჩვენ პატარა მეზობელ სახელმწიფოები ამით.

ჩვენ ესტონეთს მივეცით ზავის წინადადება, რადგანაც ჩვენ არა გვსურს ტილაც საზღვრებისათვის გლეხთა და მუშათა სისხლის ღვრა. ბლოკადის მოხსნა აიხსნება მხოლოდ იმ სიმპატიით, რომელსაც ჩვენდა მიმართ გრძნობენ ჩვენთან მებრძოლ სახელმწიფოების მუშები. ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ყველა სახელმწიფოს იარაღი უნდა დაეყარა. ჩვენ უკვე გამოვსტეხეთ ევროპის ფანჯარა, რომლითაც ფართოდ ვისარგებლებთ, ამგვარათ ჩვენ 2 რამეში გავიმარჯვეთ: „ჩვენ ყველა ფრონ. დავამარცხეთ თეთრ გვარდიელთა ბანდები და დავიპყარით ზავი საერთაშორისო საზოგადო. შემდეგ როდესაც შრომის ფრონტს შეეხო, ლენინმა განაცხადა: ჩვენ შევსძელით ომისთვის ყველაფერი მსხვერპლად მიგვეტანა, ჩვენ მას შევსწირეთ საუკეთესო ძალები, ეხლა კი ჩვენ უნდა გავუძლოთ სამეურნეო ცხოვრების დანგრეულ ფრონტს ისე როგორც მაშინ უძლებდენ კომუნისტები. მოწინავე კეთილსინდისიერმა მუშებმა უნდა იბრძოლონ ყოველი ორთქლმავლისათვის. იგი შეჩერდა აგრეთვე დაწესებულებებში გამეფებულ ბიუროკრატიაზე. ერთი ზომათაგანი არის ჩვენი სახელმწიფო საკონტროლო აპარატის მუშათა და გლეხთა საკონტროლო აპარატათ გადაქცევა, ან და მუშათა ინსპექციის დაარსება. ამ გვარათ ბურჟუაზიულ სპეციალისტებს უნდა მივუყენოთ მუშათა ჯგუფები, რომელნიც თვითონ შეისწავლიან საქმეს და ამ სამუშაოს თვით მოკიდებენ ხელს. საჭიროა მუშები შევიდნენ სახელმწიფოს ყველა დაწესებულებებში და რომ მათ კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოს მთელ აპარატს. საჭიროა, უპარტიოთა ფართო მასა იხილავდეს სახელმწიფო საქმეებს, თვით შეირჩიოს მართვა გამგეობას. უპარტიო მუშებმა თავისი წარმომადგენლები უნდა აამოირჩიონ უპარტიო გლეხთა კონფერენციაზე გასაგზავნათ.

მოსკოვი. 13 თებ. ევროპის სახელმწიფოების მთავრობამ ნორვეგიას კუნძული შპიცბერგენი გადასცა: სხვა სახელმწიფოებთან ერთად რუსეთს ამ კუნძულზე ყოველთვის ჰქონდა უფლება. კუნძული გადასცეს ნორვეგიას ისე, რომ არ შეატყობინეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რომელიც გამოსთქვამს იმ მშრომელთა ნების უფლებას, რომელთაც შპიცბერგში აქვთ სოფლები და სანადირო და სათევზაო ადგილები. საგარეო საქმე კომისარი ამ გადაცემის გამო პროტესტს აცხადებს. ის აცხადებს, რომ არც ერთი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც საბჭოთა რუსეთს მონაწილეობა არ მიუღია, არ მიჩნია მას მისაღებათ.

ფრანგული [illegible] ცნობები.

ხუთშაბათს პალატამ პოლ დეშანელის მოადგილე აირჩია. 405 ხმიდან ერთად ერთმა კანდიდატმა რაულ პერემ 372 ხმა მიიღო.

ერთა ლიგის აღმასრულებელმა საბჭომ, რომელიც ლონდონში შეიკრიბა, შვეიცარიის შეერთება მიიღო.

ჰესენის დიდი ჰერცოგი, რომელიც გასაცემთა რაცხვში შეტანილია, ჰოლანდიაში გაიქცა თავისი შვილით და სხვა პირებით, რომელთა შორისაც გენერლები არიან.

ერთა ლიგის საბჭო ოთხშაბათს შეიკრიბა ლონდონში. საბჭომ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: 1) შვეიცარიის ერთა ლიგაში შესვლის, 2) საბჭოს საქმის წარმოების, 3) საარის ოლქის, 4) დანციგის უმაღლეს კომისრის დანიშვნის, 5) უმაღლეს ინტერნაციონალურ სასამართლოს დაარსების, 6) წყლისა და რკინის გზებისა, 7) საერთაშორისო ორგანოს დაარსებისა და 8) ერთა ლიგის გარანტიების შესახებ პოლონეთის მცირე ერებისადმი.

ლიონის რადიო-სადგურის ცნობა. ბერლინიდან იუწყებიან საფრანგეთიდან გერმანელ სამხედრო ტყვეების დაბრუნების შესახებ დაბრუნებულთა რიცხვი 127,000 კაცს უდრის; აქედან 1900 ოფიცერია.

უნგრეთის მთავრობის საერთო პასუხში ნათქვამია: საქმე შეეხება უნგრეთს და არა უნგრეთის რესპუბლიკას, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ის, თუ ცხადი ეროვნული ყრილობა როგორ მართვა გამგეობას აირჩევს.

ახალი ამბები

ორშაბათს, 16 თებერვალს, ცენტ. კომიტეტის ბინაზე შედგება საკონტროლო კომისიის სხდომა. დღის რიგია კითხვები: მოხსენება პროვინციებიდან, შეფასება საკონტ. კომისიის მოხსენება სასოფლო კომისიისა. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

◆ **დავით კლდიაშვილის** საიუბილეო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: „უბედურებაში" ქ-ნნი ნინო ჩხეიძე, ნინონი, ბერტაშვილი, ბ. ბ. ვასო არაბიძე, აბდუშელი, შ. გელოვანი, შ. ღამბაშიძე, გ. ფრონისპირელი, შ. ფრანგიშვილი, ვასაძე ქუჩიძე, სარაჯიშვილი, ციცაშვილი და სხვანი. „დარისპანის გასაჭირში" ქ-ნნი ელ. ანდრონიკაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ა. ლოლუა, ქილარჯიშვილი. ბ. ბ. ვ. არაბიძე, ჩარკვიანი, ლ. მზაზიძე. საიუბილეო საღამოზე გამოგზავნილ დელეგატებს აუცილებლათ უნდა ქონდეთ რწმუნებულების ბარათი, რომ სცენაზე შეუშვან.

◆ **თფილისის ქალ. გამგეობა** იწვევს სამსახურში 7 ექიმს: ორს საავადმყოფოს ტერაპევტიული განყ. უფროს ორდინატორად; ერთს იმავე საავადმყოფოს ბავშვთა განყ. უფროს ორდინატორად; ერთს სანიტარულ ექიმად; ერთს სასწრაფო საექიმო დახმარების სადგ. ორდინატორად; ორი მეექსე და მერვე უბნის ექიმებად. თხოვნები მიიღება გამგეობის საექიმო განყოფილებაში 5 მარტამდე. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა.

◆ **ხალხთა გვარდიის** მთავარი შტაბი გადავიდა ახალ შენობაში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) შესასვლელი საპიროის ქუჩიდან.

◆ **ჯარისკაცთა და გვარდიელთათვის** დღეს 12 ს. სახელმწიფო თეატრში დაიდგმება ოპერა „კოტე და ქეთო".

◆ **ხალხური ლექცია.** სამშაბათს, 17 თებერვალს, სახალხო სახლში კომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ქართული მუსიკა და მისი თანამედროვე მდგომარეობა". ლექცია ილუსტრირებული იქნება მრავალი ვოკალურ ინსტრუმენტალური მაგალითებით.

◆ **ხალხთა უნივერსიტეტში** დღეს, კვირას, 15 თებერვალს უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში (პლეხანოვის პრო 3. № 123), შესდგება უნივერსიტეტის საბჭოს, გამგეობის, ლექტორთა და განყოფილებათა წარმომადგენლების კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. ლექციებს წაიკითხავენ 3 განყოფილებაში (ჩუღურეთი) 1) ვ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია; 2) შ. შალამბერიძე—ქიმია. ორშაბათს, 16 თებერვალს, 2 განყოფილებაში (ვერაზე) 1 გ. ზარ ნადი—ქართული მწერლობა; 2 ს. მესხი სამშობლოს აღწერა. 4 განყოფილებაში (ორთაჭალა) 1 დ. ასათიანი საფრანგეთის რევოლუცია, 2 მ. საყვარელიძე—საქართველოს XIX ს. მწერლობა.

◆ **გალაკტიონის საღამო.** მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში გაიმართება ჩვენი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** დღეს, 12 საათზე შედგება ნიკ. იმნაიშვილის მორიგი ლექცია ფილოსოფიაზე:

— ამხ. გიორგი დავითის ძე ფოფხაძეს სთხოვენ შეიაროს ქალაქის საბჭოს კანცელარიაში აკაკი ტყემალაძესთან.

კრებები

კვირას, 15 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია ჩვეულებრივი სხდომა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციისა.

— განახლებული მეოთხე რაიონის კოლექტივის პირველი კრება დანიშნულია დღეს სა. სრულ 6 ს. მიუროს ბინაზე—კრებაზე მოვალენი არიან დაესწრონ ძველი კოლექტივის წევრებიც.

— დღეს, 15 თებერვალს დილის 10 საათ. (რუსთაველის პროს № 17) დანიშნულია მეზღვაურების და საკანცელარიოებში მომუშავეთა კრება.

— კვირას 15 თებერვალს, დილის 10 ს. სააქციზო სამმართველოში დანიშნულია აქციზის მოხელეთა საზოგადო კრება.

— კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ქართველ სტუდენტთა სამედიცინო წრის კრება.

უცხოეთი

რუსეთი.

„დობრარმია" და საფრანგეთი. ელ. მურცევმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „დობროარმია" დიდის სიმპატიით სარგებლობდა როგორც საფრანგეთის მმართველებში, ისე საზოგადოებრივ წრეებშიაც. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ასეთი შეხედულება საგრძნობლათ შეიცვალა. ამის მიზეზათ, მურცევის აზრით, შეიძლება ჩაითვალოს ის ხმები, რომელიც ბოლო ხანებში გავრცელდა საფრანგეთის პრესაში და საზოგადოებაში,—ხმები „მოხალისეთა" ზოგიერთ ნაწილების მოკავშირეებთან მტრულ განწყობილების შესახებ.

ოსმალეთი.

თურქები და ბოლშევიზმი. ოსმალური გაზ. „პეიამ საბა", სხვათა შორის, სწერს: რუსეთის ამბებს არა სასურველი გავლენა შეუძლია მოახდინოს ოსმალეთის საქმეებზე. ოსმალეთის პრესტიჟი რომ არ დასცეს მოკავშირეთა წინაშე, გაზეთს საჭიროთ მიაჩნია, ოსმალეთის მთავრობამ განუმარტოს მოკავშირეებს, რომ კონსტანტინოპოლი ოსმალეთს უნდა გამოიყენოს ფაქტორათ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ასეთ აზრებს გაზეთს ჰბადავს ის საფრთხე, რასაც ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების მოქმედება ჰბადებს და რომელიც იქით არის მიმართული, რომ კავშირი დაიკავონ საბჭოთა რუსეთთან.

აზერბეიჯანი.

ფუფუნების საგნების შეტანის აკრძალვა. აზერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობისა და სასურსათო მინისტრმა მოხსენება წარადგინა მინისტრთა საბჭოში, რომლითაც იგი წინადადებას აძლევს დროებით აიკრძალოს ფუფუნების საგნების შეტანა აზერბეიჯანის რესპუბლიკაში; ეს ზომა, სხვათა შორის, მიზნათ ისახავს აიძულოს ვაჭრები პირველ საჭიროების საქონელი დაამზადონ სახელმწიფოს საჭიროებისათვის. თავის მოხსენებაში მინისტრი აღნიშნავს სურსათ-სანოვაგისა და სხვა პირველ-საჭიროების საგნების სიმცირეს ბაქოს ბაზარზე, რის სიმწვავესაც, მინისტრის აზრით, ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ფუფუნების საგნების დაშვების აკრძალვა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 12 თებერვალს შესდგა მეორე რაიონის ახლად არჩეულ კოლექტივის წევრთა კრება. წაიკითხულ და მიღებულ იქნა მხედველობაში საზოგადო კრების ოქმი. ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თევზაძე, სხვათა შორის ის აცნობს კრებას, რომ შაბათს 14 თებერვალს, მუშტაიდის დემოკრატ. ბაღში ამხ. სკობელევი გააკეთებს საჯარო მოხსენებას, მხოლოდ ახლო მომავალში მოხდება თფილისის პარტიის წევრთა საერთო კრება, სადაც ამხ. აკ. ჩხენკელი გააკეთებს მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ ევროპაში და საჭიროა ამ კრებებს ჩვენი ამხანაგები დაესწრონ, კრება ადგენს ეხოვოს ჩვენს ამხანაგებს ესწრებოდენ ხსენებულ კრებებს.

ახალგაზრდა მარქსისტთა თხოვნა, რომ მეორე რაიონის კოლექტივმა იშუამდგომლოს საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტის წინაშე, რათა ხსენებულ ორგანიზაციას, რომელიც მართავს საღამოს მათი ორგანიზაციისა და ჟურნალ „ახალი კვალის" ფონდის გასაძლიერებლათ, მიაწოდონ—სურსათი შეღავათიან ფასებში, კოლექტივის მიერ დაკმაყოფილებული იქნა.

კოლექტივმა აირჩია ახალი პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან, ამხ. ლ. მამალაძე, თ. ვასაძე, თ. ხუხუნაიშვილი და ლომიძე.

კოლექტივის რეგლამენტის შედგენა კრებამ მიანდო პრეზიდიუმს.

თ. ხუხუნაიშვილი.

თფილისი. 12 თებერვალს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მე 4 რაიონის პარტიის წევრთა 5 თებერვლის საზოგადო კრების გაგრძელება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ე. სირბილაძე კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან; 2) კოლექტივის; 3) თფილისის კომიტეტის და 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები; 5) მიმდინარე კითხვები. პირველი კითხვის შესახებ თფილისის კომიტეტის გასული წლის მუშაობის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე. ის დაწვრილებით აცნობს კრებას თფილისის კომიტეტის 1919 წლის მუშაობას, როგორც პოლიტიკურ, ისე ფინანსიურ სფეროში და აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობებოდა კომიტეტს თავის მუშაობაში. მოხსენების გათავების შემდეგ არის შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელი სათანადო პასუხს აძლევს და შემდეგ კრება გადადის მოხსენების არსებითად განხილვაზე. არსებითად ლაპარაკობენ შემდეგი ამხანაგები: თ. კიკვაძე, ნ. მეგრელიძისა, ვ. ძნელაძე, ლ. ბერიტაშვილი, ი. რამიშვილი, პ. კახიანი, ელიაძე, ს. ვადაჭკორია და სხვა, რომელნიც აღნიშნავენ კომიტეტის მუშაობის დადებითს თუ უარყოფითი მხარეებს, კამათი სწყდება და უკანასკნელათ საპასუხო სიტყვას ამბობს მომხსენებელი. და სათანადო პასუხს სცემს ყველა ორატორთა მიერ აღძრულ კითხვებს, რის შემდეგ კრება იღებს ამხ. ე. სირბილაძის მიერ შემოტანილ შემდეგ რეზოლუციას: „ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა ამხ. გ. ბახტაძის მოხსენება თფილისის კომიტეტის 1920 წ. საერთო მუშაობის შესახებ, იწონებს და იღებს მას, უმთავრესათ მისი მოქმედების პოლიტიკურ ხაზს და გადადის მორიგ საკითხზე." კრება გადადის არჩევნებზე შედეგი ასეთია: კოლექტივში არჩეულ იქნენ შემდეგი 11 კაცი, ამდენივე კანდიდატით: შ. ელიავა, გ. ულენიშვილი, ე. სირბილაძე, გ. მეჯვარიანი, ნ. კიკნაძე, ი. ომანიძე, ლ. ბერიტაშვილი, ს. ვადაჭკორია, ს. ბუკია, ნ. ნიკიტინი და ელ. მახვილაძე. კანდიდატებათ: სტ. კარტოზიანცი, რ. კეროღლიძე, შ. გოგლიძე, კ. ბერეჟიანი, ნ. კაპანაძე, დუნდუა, ზაქარიაძე, ივ. ავალოვი, ვ. თაბუაშვილი ჩ. თხილაძე და ე. ჩანტლაძე. თფილისის კომიტეტში ამხ. შ. ელიავა, ხოლო მის კანდიდატათ ამხ. ე. სირბილაძე და ლ. ბერიტაშვილი. სარევიზიო კომისიაში: არ. რამიშვილი, ალ. ფირნიევი და ს. თავართქილაძე. კანდიდატებათ: ხარაიშვილი და მ. ბერეჟიანი. კრება დაიხურა ღამის 12 ს.

X.

მუშათა შორის

მოწოდება მუშა-მოსამსახურეებისადმი.

თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირთან შემდგარმა საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ქალაქთა და ერობათა მუშა-მოსამსახურეებს: „საორგანიზაციო კომიტეტი, შემდგარი თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების კავშირებისაგან, მოუწოდებს ქალაქის თვითმართველობების, სამაზრო ერობების და ქალაქთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებს, გამოგზავნონ წარმომადგენლები 25 თებერვლისთვის ქ. თფილისში დანიშნულ კონფერენციაზე. ამხანაგებო! ყოველივე ღონისძიება იხმარეთ, რომ ყველა ქალაქებიდან და მაზრებიდან გამოგზავნილ იქნენ წარმომადგენლები. სასურველია ერთეულებათ ითვლებიან თვითმართველობები: ქალაქის და სამაზრო ერობის და აგრეთვე ქალაქთა კავშირის ორგანიზაციები. ის ორგანიზაციები, რომელშიაც მოსამსახურეთა რიცხვი ასამდის არის, გზავნიან ერთ წარმომადგენელს, ხოლო ასს ზევით ყოველ ასზე თითო წარმომადგენელს. ამხანაგებო! ვინაიდან განსარჩევია მეტად საყურადღებო და ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხები—მათ შორის [illegible] ზე მწვავე საკითხი, [illegible] ნი შრომის ხელშეკრულობის შესახებ, რომელიც დღეს დამფუძნებელ კრებაში მუშავდება—გავრცელდეს თუ არა ზემოაღნიშნული კანონი სახელმწიფო და მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეებზე,—ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტი თფ. მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების კავშირისა იმედოვნებს, რომ თქვენ სათანადო სიფხიზლით მოეკიდებით ამ მოწოდებას და გამოგზავნით წარმომადგენლებს, რომელნიც ამ ფრიად დიდი საკითხის შესახებ თავის გარკვეულ აზრს გამოსთქვამენ. დრო დაყოვნებას არ ითმენს და თუ სიფხიზლე არ გამოიჩინეთ, ადვილი შესაძლებელია, რომ რამდენიმე ათი ათას მოსამსახურეზე ეს კანონი არ გავრცელდეს.

ამხანაგური სალამით, საორგანიზაციო კომიტეტი.

მუშათა კლუბი.

დიდი ხანია რაც თფილისის დემოკრატიამ, გარდა კლუბებისა საკუთარ უბნებში დაარსა მუშათა ცენტრალური კლუბი პლეხანოვის პრ. № 123 (ყოფილი რუსული კლუბის შენობაში). კლუბის მეთაურობა მიენდო სახალხო უნივერსიტეტს, უახლოესი გამგებლობა კი, კლუბის კომისიას. კომისიამ პირველ ხანებში მოიწვია გამგეთ გ. რობაქიძე იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელი შექმნიდა დემოკრატიისათვის ოჯახს, სადაც მუშები მიიღებდენ კულტურულ განათლებას და სულიერ საზრდოს. სამწუხაროდ, ეს იმედები ვერ გამართლდა, რადგანაც რობაქიძე სხვა საქმეშიაც იყო ჩაბმული და კლუბს ნამდვილი პატრონი არ ჰყავდა, რომ ხეირიანად წაეყვანა საქმე ამიტომაც კულტურული ოჯახის შექმნა არა თუ არ მოხერხდა, პირიქით, კლუბში დაიწყეს სიარული არა სასურველმა ელემენტებმა, რომლებიც ღვინისა და მაგარი სასმელებით ატარებდნენ დროს. ამან თავის მხრივ გამოიწვია საყოველთაო საზოგადოების მხრით და ხალხიც მოსწყდა კლუბს. გაითვალისწინა რა ეს კლუბის კომისიამ გადასწყვიტა საქმის ჯეროვანად მოსაწესრიგებლად მოეწვია ისეთი კაცი, რომელიც მთელს თავის დროს კლუბს შესწირავდა და პატრონობას გაუწევდა. ამასთანავე ერთად მაგარი სასმელების გაყიდვის მოსპობაც ბუფეტის საკუთარი ძალებით მოწყობაც დაადგინეს. გამგეთ მოიწვიეს ამ. ბუხუტაშვილი, რომელიც წინადაც მუშაობდა კლუბში, როგორც რეჟისორი. კლუბის შენობას უკვე დაეტყო სისუფთავე. აგრეთვე სისტემატიურად ყოველ ოთხშაბათობით წევრებისათვის უფასოთ იმართება წარმოდგენები, ლექციები, კონცერტები და სინემატოგრაფი. მივესალმებით რა კლუბის კომისიის სურვილებს, მოვუწოდებთ მუშებს კლუბის გარშემო შემოკრბენ და მასში კულტურული ოჯახის—საკუთარი ოჯახის შექმნას ხელი შეუწყონ.

X.

ცოტა რამ ციხეების დარაჯებზე.

ამ ბოლო დროს მეტად გაჭირვებას განიცდიან ციხეების დარაჯები.— ყოფილი საგუბერნიო ციხის ჯარისკაცები. იმათი ჯამაგირები შედარებით დღევანდელ ბაზართან სრულიად უმნიშვნელოა. იმათი ცოლშვილი აუტანელ გასაჭირშია ჩავარდნილი.

დღემდის ყოველივე ცდა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ უნაყოფოდ გამოდგა. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელია დიდ ხანს გატანოს.

საჭიროა ასეთი ჯარისკაცების მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს ვისგანაც ჯერ არს.

მოსამსახურენი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ მარტო პროცენტების მომატებით იმათი არსებობა უზრუნველყოფა შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. 250 მან. არსებობა არ შეუძლიათ.

დარწმუნებული ვარ, რომ ამას შესაფერი ყურადღება მიექცევა და ამ დარგის მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა შეძლებისდაგვარად გაუმჯობესებული იქნება.

შ. ფუთელი.

პროვინცია

მარნის თემი (სენ. მაზრა). 4 თებერვალს შესდგა მარნის თემის ყველა მასწავლებელთა ყრილობა. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) საქართველოს მასწ. ყრილ. გაგზავნ. დელ. მოხსენება 2) გათბობა, განათება და ბინის შესახებ. 3) მოწაფეთა ზნეობრივი მხარის ამაღლება 4) სოფ. ქვიშანჩალის სკოლის გამგის განცხადება და სხვა.

პირველ კითხვაზე ყრილობამ მოისმინა შინაარსიანი მოხსენება დელეგატისა და გადავიდა მორიგ კითხვაზე. მეორე კითხვაზე გამომუშავებულ იქნა ნორმა მოთხოვნისა, რომელიც სენაკის სამაზრო ერობის დამტკიცების შემდეგ, წარედგინება სახალხო გადაწყვეტილებას

მისალმებათ ადგილობრივ თემის საბჭოს. მესამე კითხვაზე ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი: იმ ნაწილების უკეთ უზრუნველსაყოფათ, რომელიც უკვე გადაცემული აქვს მარნის თემის მასწავლებელთა კოოპერაციას, საჭიროა არის მოეწყოს ყველა სასწავლებლებთან მშობელთა წრეები. სოფ. ქვაშანქალის სკოლის გამგემ მისი განცხადების დასაკმაყოფილებლად მიმართოს თემის გამგეობას.

კორესპონდენტი.

ლიხაური (გურია). 27 იანვარს სოფ. ლიხაურში დაკრძალეს დამფუძნებელი კრების წევრი, ძველი პარტიული მუშაკი, სიმონ სურგულაძე, მასთან ერთად დაასაფლავეს მისივე ცოლი, რომელიც ქმრის სიკვდილის მეორე დღესვე გარდაიცვალა. დასაფლავებას, მიუხედავად იმისა, რომ საზიზღარი ამინდი იყო, სამაზრო ეროვნის, გვარდიის შტაბის, გურიის სოც.-დემ. კომიტ. პრეზიდიუმისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მრავალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე დამფუძნ. კრების სოც.-დემოკ. ფრაქციის წარმომადგენელი ამხ. ბერიშვილი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნ. კრების პრეზიდიუმის, სოც.-დემ. ფრაქციისა და საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით. წარმოითქვა აგრეთვე სიტყვები გურიის ს.-დ. კომიტეტის, გვარდიის გურიის საოლქო შტაბის, ლიხაურის ორგანიზაციებმა და სხვა მრავალი დაწესებულებათა სახელით. ზოგიერთ ორგანიზაციებმა გვირგვინის ნაცვლად გადაიღეს ფული ობლების სასარგებლოთ. განსვენებულთ დარჩა ოთხი მცირე წლოვანი ბავშვი, რომელთაგან უფროსი წლისა და ნახევრის არის, მათ დღეს არ გააჩნიათ მომვლელ-პატრონი, უვლის ადგილობრივი თემი; საჭიროა საჩქარო დახმარება.

ხუხუნი.

შინაგან საქმეთა მინისტრი შორაპნის მაზრაში.

19 იანვარს ზესტაფონს ესტუმრა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი სახალხო სკოლებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორების თანხლებით. მათ შორაპანში ხვდება ეროვნის თავმჯდომარე და სადგურ ზესტაფონში შეხვდა ეროვნის გამგეობის წარმომადგენლობა, სამაზრო მილიცია და ქალაქის მილიცია. ამავე დღეს დილით მინისტრმა დაათვალიერა სამაზრო ეროვნის სამმართველო, მილიციის უფროსის კანცელარია, სამაზრო ციხე და საქალაქო მილიციის სადგომი. მინისტრი ყველგან კმაყოფილი დარჩა გარდა სამაზრო ციხისა, სადაც სხვადასხვა უწესოებანი და კანონის დარღვევა თავისივე თვალით იხილა. აქედან ეროვნის თავმჯდომარისა და ქალაქის მოურავის თანხლებით, მინისტრი გაემართა სასწავლებლებში. ინახულა ყველა სასწავლებლები, რომელთა მდგომარეობამ საზოგადოთ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე. გიმნაზიისა და უ. დ. სასწავლებლების დათვალიერების შემდეგ მასწავლებელ მ. ტაბატაძის თხოვნით ინახულა ყველა მოწაფეები თავიანთი მასწავლებლებით ერთად შეკრებილნი. ვეებერთელა დარბაზი გაჭედილი იყო აღფრთოვანებული მოწაფეებით. მინისტრის გამოჩენაზე იგრიალა მხურვალე ტაშმა; უხვით დაესწრნენ ყოველივე მისგნით ნათქვამ სიტყვას და მხურვალე ტაშითვე გააცილეს იგი.

რკინის გზის სასწავლებელში მინისტრი მეტად ნასიამოვნები დარჩა მოწაფეების ნამუშევარით. ყველა სასწავლებელში ის დაწვრილებით ესაუბრებოდა მასწავლებლებს სწავლა-აღზრდის საქმეზე; კითხულობდა, თუ რა ნაყოფი გამოიღო შკოლის გაეროვნებამ; აღნიშნავდა, როგორ გავლენას ახდენდა მოწაფეებზე მრავალსაგნიანობა და სხ. მინისტრმა ინახულა აგრეთვე სახალხო გვარდიის შტაბი, სადაც მას დახვდა საპატიო ყარაული. ნაშუადღევის 3 ს. მინისტრი მივიდა ეროვნის თავმჯდომარის ბინაზე, სადაც მიიღო დაწესებულებების წარმომადგენლები და კერძო მთხოვნელები. 20 იანვარს გაემგზავრა ეროვნის გამგეობის წევრების თანხლებით მდინარე ჩოლაბურზე, ხიდის გასაკეთებელი ადგილის დასათვალიერებლად. ეს საკითხი ის ხიდი გახლავთ, რომლის მასალა რკინის გზის სამმართველოდან აქვს გამოთხოვილი ეროვნას და რაღაც მიზეზის გამო აქამდის ვერ მიუღია. ამ ხიდს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მაზრისათვის, ისე მთელი რესპუბლიკისათვის, ვინაიდან ის აერთებს მაზრის უდიდეს რაიონს ცენტრთან და ამავე დროს მდებარეობს ქართლ-სამეგრელოს უმთავრეს გზაზე. დაბრუნებისას მინისტრმა ინახულა საქარის სანერგე, იქიდან კვლავ დაბრუნდა ქ. ზესტაფონში. დარჩენილი დაწესებულებების დათვალიერების შემდეგ მხლებლებით მიპატიჟებული იყო ბანკეტზე, სადაც ბევრი მგრძნობიარე და მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოითქვა. საღ. 5 ნახ. საათზე, საგანგებო მატარებლით მინისტრი ეროვნის თავმჯდომარის თანხლებით გაემგზავრა ჭიათურა საჩხერის რაიონში. ჭიათურის სად. მინისტრს მრავალი ხალხი დახვდა ქალაქის თავის მეთაურობით. აქვე ლოდინენ მრეწველთა საბჭოს წარმომადგენლები. იმავე ღამეს ადგილობრივ თეატრში მინისტრმა წაიკითხა საჯარო ლექცია. მეორე დღეს დაათვალიერა ყველა ადგილობრივი დაწესებულებები და სასწავლებლები და ნაშუადღევის 1 ს. ილაპარაკა მრავალ რიცხოვან მიტინგზე. ბევრი შეკითხვები მისცეს, რომელზედაც დაწვრილებით უპასუხა. ბოლოს დიდათ ნასიამოვნები დარჩა. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, უდიდეს სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოვსთქვამთ რესპუბლიკის მთავრობის მიერ შინაურ და საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ, უგულითადეს სალამს ვუძღვნით რესპუბლიკის მთავრობას და აღთქმას ვსდებთ ყოველივე ჩვენი ძალ ღონე შევსწიროთ დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებას და სამშობლოს დამოუკიდებლობის სავსებით განმტკიცებას. ამავე დღეს მინისტრი მიპატიჟებული იყო მხლებლებით ბანკეტზე. მეორე დღეს მინისტრმა დაათვალიერა შავი ქვის სარეცხი ქარხნები და ნაშუადღევის 1 ს. გაემგზავრა ღ. საჩხერეში, რომელიც მას დიდი ზეიმით შეხვდა. სადგურის ბაქანი გაჭედილი იყო ხალხით. მინისტრის გადმოსვლისთანავე იგრიალა ერთსულოვანმა „გაუმარჯოს"-ს ხმამ, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა. შემდეგ მიესალმა მინისტრს ადგილობრივი თემის თავმჯდომარე, მასწავლებლები, მოწაფეები და სხვანი. გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც მინისტრმა ორ საათზე მეტი ილაპარაკა. პასუხი გასცა მრავალ შეკითხვებზე, რის შემდეგ მეტად ნასიამოვნები ხალხი დაიშალა. მიტინგზე გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ უდიდეს სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოვსთქვამთ რესპუბლიკის მთავრობის მიერ შინაურ და საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ ბრწყინვალე გამარჯვებების შესახებ, უგულითადეს სალამს ვუძღვნით რესპუბლიკის მთავრობას და აღთქმას ვდებთ ყოველივე ჩვენი ძალღონე შევსწიროთ დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებას და სამშობლოს დამოუკიდებლობის სავსებით განმტკიცებას. ამის შემდეგ მინისტრმა დაათვალიერა ყველა ადგილობრივი დაწესებულებები, ნასიამოვნები დარჩა ადგილობრივი საერობო საავადმყოფოს წესრიგით და საღამოს გაემგზავრა ქუთაისისაკენ.

სასურველია რომ ხშირათ გვინახულებდნენ მთავრობის წარმომადგენელნი და პირისპირ გაეცნობოდნენ ადგილობრივ საჭიროებას და ჭირ ვარამს.

X.

კოდა. (თფილისის მაზრა). სია იმ პირთა, რომელთაც შემოსწირეს ფული 3 ნოემბერს 1919 წ. „სახალხო გვარდიის დღეს". დავით ნაჩხატაშვილმა 50 მან., გაბო კეკლიშვილმა 50 მან., გიორგი კასრაძემ 50 მან., დარჩო მანუჩაროვმა 50 მან., მელიქ მანუჩაროვმა 50 მან., ვასილ იმედაშვილმა 50 მან. ვანო დემეროვმა 50 მან., მაქრო მაყაშვილმა 50 მან., გიორგი ძნელაძემ 100 მან., იოსებ გულუაშვილმა 50 მან., ივანე ზაქრაძემ 50 მან., ნიკო ყრუაშვილმა 20 მან., მაქრო სეხნიაშვილმა 20 მან., რ. კვიცაძემ 20 მან., ივანე დემეტრაშვილმა 20 მან., კოსტა ამირჯანოვმა 20 მან., ს. აზარიაშვილმა 20 მან., ზ. ბერძენიშვილმა 20 მან., ალდგომაშვილმა 30 მან., მეზურნეებმა 50 მან., სტეფან მექსაროვმა 20 მან., ჩოფურიალი ოღლი მამად-ოღლიმა 200 მანეთი. სულ 995 მან.

თეატრი და ხელოვნება

უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მოწვეული იყო საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის წევრი ბ. გ. ქიქოძე, სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ბ. ვ. ბერიძე; სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი პროფესორი ბ. ი. ჯავახიშვილი; საქ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელი ბ. გ. ეზუგბაია; ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და სამუსიკო კოლეგია.

კრება გაიხსნა ბ. კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსება საქართველოში.

ბ. კ. ანდრონიკაშვილი აცნობს კრებას საქმის ვითარებას და აღნიშნავს უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსების საჭიროებას და გამოსთქვამს სურვილს, რათა ყოფილი რუსული კონსერვატორია და ქართული სამუსიკო სკოლა შეერთდეს და დაარსდეს უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

მომხსენებლათ არიან: ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი.

ზ. ფალიაშვილის აზრით რუსული კონსერვატორია ქართულ სახელმწიფო კონსერვატორიად უნდა გადაკეთდეს.

დ. არაყიშვილის მოხსენებით ქართული სამუსიკო სკოლა უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: დაარსდეს ქართული კონსერვატორია, არსებულ რუსულ კონსერვატორიის და ქართულ სამუსიკო კოლეგიის პროფესორთა შეერთებული ძალებით.

ქართ. სამ. სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს დასაწყის და საშუალო სამუსიკო სასწავლებლად. უმაღლესი კურსი კი იყოს კონსერვატორიაში.

ორივე სამუსიკო სასწავლებელი, როგორც უმაღლესი, ისე საშუალო გადაკეთდეს სახელმწიფო სასწავლებლად.

ეთხოვოს განათლების მინისტრს, რაც შეიძლება მალე მიიღოს ყველა ღონისძიება ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაში 1920 წ. თებერვლის 16 საკასაციო წესით განსახილველათ დანიშნულის საქმეთა სია:

1) საქმე გრიგოლ ჩქარეულისა ნადეჟდა ზუბალთან ბინის და ბინის ქირის თაობაზე.

2) საქმე დავით მეგალოვისა გარდაცვალებულ ივანე მეგალოვის ობლების და ქონების მოურავის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

3) საქმე ალექსანდრე მაცნიევისა ლიდია მაცნიევისათან 500 მან. თაობაზე.

4) საქმე სტეფანე პეპოვისა და პეტრე სვერდლიკოვთან 1800 მან. თაობაზე.

5) საქმე მარიამ ანდრონიკოვისა ვასილი და ზაქარია აზატოვებთან მამულის ვალში გაყიდვის შესახებ.

6) საქმე მიხეილ მაცაბერიძისა სალომე და სხვა იოსელიანების მამულში შესვლის შეჩერების შესახებ.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობაში" (13 თებერვლის № 34), თემების წარმომადგენელთა თათბირის შესახებ დაბეჭდილ ცნობებში, სიღნაღის მაზრის თემთა წარმომადგენლის მოხსენებაზე შეპარულა ზოგიერთი შეცდომანი, სხვათა შორის სწერია:—„საჭიროა ერობებს დაუმორჩილდეს ტყის მცველთა ინსტიტუტი და ფიჩხის მოჭრის საქმეში"ო, მოხსენებაში იყო ნათქვამი არა მარტო ფიჩხის მოჭრისა, არამედ— ყველა სატყეო საქმეებში. ჩემი მოხსენება ეხებოდა აგრეთვე მას, რომ სიღნაღის სამაზრო ერობამ უკვე გაიყვანა ყველა თემებში ტელეფონები, შარაგზები და ბოგირები, და აგრეთვე უმთავრესი ყურადღება მიაქცია სასკოლო და ადმინისტრაციის გაჯანსაღების საქმეს, რაიც სრულიად იყო გამოტოვებული აღნიშნულ № ში.

პატივისცემით მაჭარხევის თემის თავმჯდომარე: გიგ. გ. ჩნაძე.

7 დეკემბერს 1919 წ. არტისტიულ საზოგადოების დარბაზში სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომ სტუდენტ-მეტყევე სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ გამართული სალამოს ანგარიში. შემოსავალი: 1) ბილეთიდან 8585 მან., 2) შემოწირულება 11750 მან., 3) ბუფეტის 45938 მან., 4) ყვავილების 1160 მან., 5) აუქციონის 14662 მან., სულ 82095 მანეთი. გასავალი: 1) ბუფეტის 25356 მან., 2) ყვავილების და მორთვა 1140 მან., 3) მუსიკის 1200 მან., 4) შენობის 3000 მან., 5) მოსამსახურეთ 645 მან., 6) პროგ. აფიშების 582 მან., 7) არტისტებს 10970 მან., 8) წვრილმანი ხარჯების 424 მან. სულ 43317 მ. წმინდა შემოსავალი 38778 მ.

კავშირის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის სალამოს დიასახლისებს ქ—თ ქ. ამირაჯიბისას და მ. ერისთავისას ამ მხურვალე და დაუზოგავ მუშაობისათვის, რომელსაც უწევდნენ სალამოს მოწყობისათვის. აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის ბ. კ. ამირაჯიბს, მხატვარ ქალს ელენე ახვლედიანს, მსახიობებს, დიასახლისების თანაშემწეებს და ყველა იმას ვინც თავისი შრომით შემოწირულებით თუ სხვა მხრივ ხელი შეუწყო სალამოს. დიდად ვმადლობთ „კაფე ინტერნაციონალის" გამგეებს, რომელთაც დიდი შრომა მიიღეს თავის თავზე და მრავალმხრივი შეწევნა აღმოგვიჩინეს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომ-ბუნების მეტყველ სტუდენტთა კავშირის გამგეობა.

განცხადებანი

ცეკვის სასწავლებელი

ი. ა. როზენბერგისა.

არსებობს 27 წელიწადი ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხასიათის და ევროპულ ცეკვებს მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (527-5-1)

ექიმი

კ. ბ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. დიუენშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ჰეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი ვ. მ. მინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 23 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87 (114—თ).

ექიმი ხ. დ. კაკულია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოდ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი შ. ბ. [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 37. [illegible]

ექიმი

ნ. დ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

ვ. ვ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ზუბოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3320—თ.

ექიმი

ვ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა. № 74. ბინა № 1. ვაგზლის [illegible] ახლო. (249)

ექიმი ლ. ჩ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—3662.

პირველი ქართ. სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარსდ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606" და „914" 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. ყურის.

მ. მ. ავეტიქიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ (კონტ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და მშობიარობის ნაწილი.

ე. ა. ხოჯევანოვი—12—1 საათ (სამშ. ხუთშაბ და შაბათი).

[illegible]—12—1 ს. შინაგ და ბავშვთა.

ღირებულება [illegible]

საავადმყოფოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

ოზურგეთელი

ექიმი ა. გ. [illegible]

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცირიდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო

ძ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და მშობიარობის ნაწილებში დილი 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28 (თ. 3065).

ექიმი დ. ა. ჯაფარიძე

შინაგანის, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მიხაკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი [illegible]

სპეციალურად [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) [illegible] სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 32

ქ. ტფილისის კოოპერატიულ სასადილოთა საზოგადოების გამგეობა

აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 15 თებერვალს დილის 11 საათზე სასადილოს შენობაში (გოგოლის ქ. № 1) დანიშნულია

წევრთა წლიური საზოგადო კრება

განსახილველი შემდეგი საკითხები: 1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება 2) გამგეობის მოხსენება. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება. 5) გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები. 6) სარევიზიო კომისიის არჩევნები. 7) მიმდინარე კითხვები.

თუ რომ კრებაზე საკმაო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, კრება გადაიდება და განმეორებით დაინიშნება კვირას 22 თებერვალს დილის 11 ს. იმავე შენობაში.

შენიშვნა: ყველა წევრისათვის სავალდებულოა თან იქონიოს საწევრო ბარათი.

(531—1—1)

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოსა და ვაჭარ-მრეწველთა თაოსნობით და ფინანსთა მინისტრის თანხმობით,

ქალაქ თფილისში არსდება საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი (ცენტრობანკი)

რომლის ძირითადი თანხა არის 20 000.000 მან. თითო აქცია ღირს 1000 მ.

საორგანიზაციო ხარჯის დასაფარავად შემოტანილი უნდა იქნეს 50 მან., ერთი ხმის უფლებას აძლევს 20 აქცია. ამ თავითვე შემოტანილი უნდა იქნეს აქციის ნახევარი ღირებულება —500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისათვის სულ 50 მან., ესე იგი თითო აქციაზე 550 მანეთი.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა მთელს საქართველოში დანიშნულია: ამა თებერვლის 17-ს (სამშაბათს), 18-ს (ოთხშაბათს), 19-ს (ხუთშაბათს) და 20 (პარასკევს). 10—1 საათ.

თფილისში, სამეურნეო ბანკში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან პ. ა. გოთუასთან.

ინგლისის ფირმის „კომოს-ლიმიტედის" კანტორაში, საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, გრიგოლ გიორგის ძე ბერიძესთან, (ბარონის ქ. № 15).

ცენტრო ბანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3) საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზთან

ქუთაისში საურთიერთო ნდობის ბანკში, პავლე უზნაძესთან და სასოფლო სამეურნეო ბანკში, ვარლამ ჭილაძესთან

ბათუმში. საურთიერთო ნდობის ბანკში, ნიკოლოზ სიბაშვილთან და მათე რუხაძესთან.

ხონში. საურთიერთო ნდობის ბანკში, პლატონ გელოვანთან და ჯოტო შერვაშიძესთან.

სიღნაღში. საურთიერთო ნდობის ბანკში, კოტე ტყავაძესთან.

ფოთში, თელავში, გორში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ჭიათურაში ადგილობრივ საურთიერთო ბანკებში; სიღნაღის კოოპერატივთა კავშირში, კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირში და საქართველოს ყველა საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობებში (ამ დაწესებულებათა გამგეობებში).

აქციონერთა პირველი საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 29 თებერვალს, თფილისში ცენტრო-ბანკის ბინაზე.

ცენტრო-ბანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი,
თფილისი, პუშკინის ქ. № 3. თავისუფლების მოედანს პირდაპირ).
ტელეფონი № 3—46.
დეპეშებისათვის—თფილისი—ცენტრო-ბანკი.

(ნ. 1—1)